დანართი №1

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

შპს არასახელმწიფო საერო საშუალო სკოლა ოცნება

შეფასების თარიღები 06,07,08 ივლისი 2022 წ.

დასკვნის წარდგენის თარიღი 01 აგვისტო 2022წ.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: - Maka Digitally signed by Maka Tukvadze ----------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

I. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

ინფორმაცია დაწესებულების შესახებ	
დაწესებულების სახელწოდება	არასახელმწიფო საერო საშუალო სკოლა ოცნება
ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა	შპს (შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება)
საგანმანათლებლო დაწესებულების (გადასახადის გადამხდელის) საიდენტიფიკაციო კოდი	221290886

ავტორიზაციის მოპოვების შემთხვევაში, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის სურვილია განახორციელოს:	
დაწყებითი ზოგადსაგანმანათლებლო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა	დიახ
საბაზო ზოგადსაგანმანათლებლო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა	დიახ
საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა	დიახ
საბაზო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამა	არა
საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამა	არა

II. საკონტაქტო ინფორმაცია

საკონტაქტო ინფორმაცია	
მუნიციპალიტეტი (სოფელი/დაბა/ქალაქი)	ქ. წყალტუბო
იურიდიული მისამართი	კოლხეთის ქ. N2
ფაქტობრივი მისამართი	კოლხეთის ქ. N2
საფოსტო ინდექსი	5400
დაწესებულების ვებ-გვერდი	www.skolaocneba.ge
დაწესებულების ელ-ფოსტა	irinecaava@mail.ru skolaocneba@gmail.com
დაწესებულების ტელეფონის ნომერი/ფაქსი	0436-22-24-05

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

ხელმძღვანელი/წარმომადგენელი (სახელი, გვარი)	ირინე ცაავა
ტელეფონის ნომერი/ფაქსი	551–855–111
ელ-ფოსტა	irinecaava@mail.ru

III. ინფორმაცია ვიზიტის შესახებ

საავტორიზაციო ვიზიტის საფუძველი	სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის მოადგილის ბრძანება N724191; 28.06.22
ვიზიტის პერიოდი (თარიღი)	2022 წლის 06,07,08 ივლისი
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე	ელისო ლოლაშვილი-მერებაშვილი
წევრი	მაკა ტუკვაძე

IV. ვიზიტის შეჯამება

ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შემაჯამებელი ცხრილი

სტანდარტი/ქვესტანდარტი		ავტორიზაციის დებულების შესაბამისი მუხლი / პუნქტი	სტანდარტი დაკმაყოფილებულია	სტანდარტი არაა დაკმაყოფილებული
1.ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამები		**მუხლი 6**	☐	☒
1.1	სასკოლო სასწავლო გეგმა გამომდინარეობს სკოლის მისიიდან და შეესაბამება ეროვნულ სასწავლო გეგმას	**მუხლი 6/ პუნქტი ა)**	☐	☒
1.2	სასკოლო სასწავლო გეგმა პასუხობს შესაბამისი საფეხურის მოსწავლეთა მოთხოვნებს და საშუალებას აძლევს მათ შეიძინონ ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული ცოდნა, უნარები და ღირებულებები	**მუხლი 6/ პუნქტი ბ)**	☒	☐
1.3	სასკოლო სასწავლო გეგმა მოსწავლეს უზრუნველყოფს სწავლისა და განვითარების თანაბარი შესაძლებლობებით. სკოლას აქვს სპეციალური პროგრამა განსაკუთრებული საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთათვის	**მუხლი 6/ პუნქტი გ)**	☒	☐

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

1.4	სკოლაში არსებული მოსწავლეთა შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნულ სასწავლო გეგმას. შეფასების კრიტერიუმები გამჭვირვალეა, ცნობილია სასკოლო საზოგადოებისთვის და შედეგები გამოიყენება მოსწავლეთა აკადემიური მოსწრების გასაუმჯობესებლად	**მუხლი 6 / პუნქტი დ)**	☐	☒
1.5	შემუშავებულია მოსწავლის აკადემიური მოსწრების შესახებ მშობლის ინფორმირების წესი და მშობელი უზრუნველყოფილია სასკოლო ცხოვრებაში მონაწილების შესაძლებლობით	**მუხლი 6 / პუნქტი ე)**	☒	☐
1.6	შემუშავებულია სასკოლო სასწავლო გეგმის შეფასებისა და შემდგომი გაუმჯობესების მექანიზმი	**მუხლი 6 / პუნქტი ვ)**	☒	☐
2. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მატერიალური რესურსი		**მუხლი 7**	☒	☐
2.1	დაწესებულებას აქვს სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო პროცესის შესაბამისი მატერიალური რესურსი, მათ შორის:	**მუხლი 7 / პუნქტი ა)**	☒	☐
2.1.1	ერთ მისამართზე 250. კვ. მ. ფართი, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო იღებს გადაწყვეტილებას 50 მოსწავლეზე ნაკლებგონტინგენტიანი სკოლის ავტორიზაციის შესახებ. ფართზე უფლება უნდა დასტურდებოდეს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით	**მუხლი 7/ პუნქტი ა.ა)**	☒	☐
2.1.2	საკლასო ოთახები, აღჭურვილი სათანადო ინვენტარით, კერძოდ: მოსწავლეთა ინდივიდუალურ საჭიროებებს მორგებული მერხებით, სასკოლო დაფებითა და სხვა აუცილებელი მატერიალური საშუალებებით	**მუხლი 7/ პუნქტი ა.ბ)**	☒	☐
2.1.3	სპორტული დარბაზი, აუზი ან მოედანი	**მუხლი 7 / პუნქტი ა.გ.)**	☒	☐
2.1.4	სათანადოდ აღჭურვილი ლაბორატორია/ლაბორატორიები	**მუხლი 7 / პუნქტი ა.დ)**	☒	☐
2.2.	სკოლაში არის საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისთვის აუცილებელი გარემო: ელექტროენერგიის მიწოდების უწყვეტი სისტემა, სველი წერილები, ბუნებრივი განათების შესაძლებლობა და გათბობის საშუალებები	**მუხლი 7 / პუნქტი ბ)**	☒	☐
2.3	სკოლაში არის სასკოლო სასწავლო გეგმის შესაბამისი ბიბლიოთეკა სათანადო რაოდენობის წიგნადი ფონდით, პერიოდიკითა და სხვა დამხმარე მასალით	**მუხლი 7 / პუნქტი გ)**	☒	☐

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

2.4	სკოლას აქვს ადაპტირებული გარემო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთათვის	**მუხლი 7 / პუნქტი დ)**	☒	☐
2.5	სკოლას აქვს სასკოლო სასწავლო გეგმით დასახული მიზნების განხორციელებისათვის აუცილებელი საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები, მათ შორის, ინტერნეტით მუდმივად უზრუნველყოფილი კომპიუტერები. ვებგვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას	**მუხლი 7 / პუნქტი ე)**	☒	☐
2.6	სკოლაში დაცულია პერსონალისა და მოსწავლეთა უსაფრთხოება და ჯანმრთელობა, რისთვისაც არსებობს:	**მუხლი 7 / პუნქტი ვ)**	☒	☐
2.6.1	ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები და ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი	**მუხლი 7 / პუნქტი ვ. ა)**	☒	☐
2.6.2	თვალსაჩინო ადგილას გამოკრული ევაკუაციის გეგმა	**მუხლი 7 / პუნქტი ვ. ბ)**	☒	☐
2.6.3	სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები	**მუხლი 7 / პუნქტი ვ. გ)**	☒	☐
2.6.4	წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად	**მუხლი 7 / პუნქტი ვ. დ)**	☒	☐
2.6.5	კერძო სამართლის იურიდიული პირების – ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისათვის – უსაფრთხოების კამერები, რომლებიც უზრუნველყოფენ სკოლის შიდა და გარე პერიმეტრის კონტროლს და რომელიც შეესაბამება „აზარტული და სხვა მომგებიანი თამაშობების (გარდა წამახალისებელი გათამაშებისა) ადგილებზე და გარე პერიმეტრზე ვიდეომეთვალყურეობის სისტემებისა და მათი დამონტაჟება-ექსპლოატაციის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2007 წლის 29 აგვისტოს №1143 ბრძანებით განსაზღვრულ ვიდეომეთვალყურეობის სისტემებსა და მათი დამონტაჟება-ექსპლუატაციის წესებს	**მუხლი 7 / პუნქტი ვ. ე)**	☒	☐
2.7	სკოლას შემუშავებული აქვს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისი წესდება, შინაგანაწესი ან გადაწყვეტილებების მიღების, საქმიანობის დაგეგმვისა და წარმართვის პროცედურათა ამსახველი სხვა დოკუმენტები	**მუხლი 7/ პუნქტი ზ)**	☒	☐

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

2.8	შემუშავებულია სკოლის განვითარების გრძელვადიანი (ექვსწლიანი) და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები, გამომდინარე დაწესებულების მისიიდან, რაც ასევე ითვალისწინებს მატერიალური რესურსების ეფექტურად გამოყენებისა და გაუმჯობესების მექანიზმებს	**მუხლი 7/ პუნქტი თ)**	☒	☐
2.9	დაწესებულებაში მიმდინარეობს გამოცემული აქტებისა და კორესპონდენციების აღრიცხვა	**მუხლი 7/ პუნქტი ი)**	☒	☐
3. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ადამიანური რესურსი		**მუხლი 8**	☐	☒
3.1	სკოლას ჰყავს სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო პროცესის შესაბამისი ადამიანური რესურსი	**მუხლი 8 / პუნქტი ა)**	☒	☐
3.2	სკოლის მასწავლებლები შერჩეულნი არიან „ზოგადი განათლების შესახებ" საქართველოს კანონისა და ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად	**მუხლი 8 / პუნქტი ბ)**	☐	☒
3.3	სკოლაში შემუშავებულია თანამშრომელთა შერჩევის, მიღებისა და გათავისუფლების წესები, ასევე წახალისებისა და სანქციების გამჭვირვალე სისტემა	**მუხლი 8 / პუნქტი გ)**	☒	☐
3.4	მასწავლებლებთან, ადმინისტრაციულ, ტექნიკურ პერსონალსა და სკოლის სხვა თანამშრომლებთან გაფორმებულია ხელშეკრულებები	**მუხლი 8/ პუნქტი დ)**	☒	☐
3.5	სკოლას შემუშავებული აქვს ადამიანური რესურსის პროფესიული განვითარების ხელშეწყობის მექანიზმები	**მუხლი 8/ პუნქტი ე)**	☒	☐
3.6	სკოლაში არის დაცულობის, კეთილგანწყობის, ურთიერთპატივისცემისა და თანამშრომლობის ატმოსფერო, რაც ხელს უწყობს სასკოლო საზოგადოების თითოეული წევრის შესაძლებლობათა მაქსიმუმის გამოვლენას, პასუხისმგებლობის გადანაწილებას	**მუხლი 8/ პუნქტი ვ)**	☒	☐

V. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ხარვეზი (სტანდარტთან შეუსაბამობა), რომელიც გამოვლინდა ვიზიტის პერიოდში ქვესტანდარტის მითითებით.

სტანდარტი	*საგანმანათლებლო პროგრამები*	*ხარვეზი*

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

ქვესტანდარტი	*1.1.*	სკოლამ, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში არ წარადგენილი მესამე მოდელს საათობრივი ბადის შესაბამისი დასაბუთება, თუ როგორ შეუწყობს ხელს სკოლის მიერ განსაზღვრული საათობრივი დატვირთვა ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული საგნის/საგნების სტანდარტის შედეგების მიღწევას(ესგ-მუხლი 56). სასკოლო სასწავლო გეგმა, არაუფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერაა დამტკიცებული კანონმდებლობით დადგენილი ვადის დაგვიანებით (ესგ-ს 21-ე მუხლის მე-6 პუნქტი).
	1.4	დარღვეულია ესგ-ის 32-ე მუხლის მე- 10 პუნქტის მოთხოვნა, კერძოდ სკოლა დაწყებით საფეხურზე(V. VI კლ) ატარებს სასკოლო წლიურ გამოცდებს.
სტანდარტი	*მატერიალური რესურსი*	
სტანდარტი	*ადამიანური რესურსი*	
ქვესტანდარტი	*3.2*	საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტის #174/ნ ბრძანებით დადგნილი პირობების გაუთვალისწინებლად სკოლაში დასაქმდა ხუთი უსტატუსო მასწავლებელი

VI. რეკომენდაციების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა რეკომენდაცია, რომლებიც მიეცა დაწესებულებას სტანდარტებთან უკეთ შესაბამისობის უზრუნველსაყოფად, ქვესტანდარტის მითითებით.

სტანდარტი	*საგანმანათლებლო პროგრამები*	*რეკომენდაცია*

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

ქვესტანდარტი	*1.1.*	*სკოლამ გაითვალისწინოს სასკოლო სასწავლო გეგმის დამტკიცების კანონმდებლობით დადგენილი ვადები, ასევე სსგ დამტკიცდეს უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ.*
	1.2.	*მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის აქტიურად დანერგვა: მატრიცების, მშობელთა გარათების, დიაგნოსტირების, სასკოლო ყველა კათედრაზე შექმნა-წარმოება, სასკოლო პროექტების განხორციელება ეროვნული სასწავლო გეგმის პრიორიტეტული თემებით;*
	1.4	*მრავალფეროვანი ტიპის შემაჯამებელი დავალებების შეთავაზება და დანერგვა.მათ შორის კომპლექსურის.*
სტანდარტი	*მატერიალური რესურსი*	
ქვესტანდარტი	*2.1. ბ* *2.1.დ*	*რეკომენდებულია სკოლამ სპორტულ დარბაზში მოაწყოს გასახდელები და აღჭურვოს ინვენტარით,ასევე უზრუნველყოს* ღია სპორტული მოედნის მოწყობა სკოლის ეზოში. რეკომენდებულია ლაბორატორიაში მოეწყოს გამწოვი კარადა.
	2.2.	სტანდარტის უკეთ შესაბამისობის მიზნით, რეკომენდებულია სკოლამ იზრუნოს უფროსებისთვის ცალკე სველი წერტილების მოწყობაზე.
	2.7	სკოლამ, სისტემატიურად უზრუნველყოს

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

		მარეგულირებელი დოკუმენტების გადახედვა და ცვლილებების ასახვა განათლების სისტემაში მოქმედი სამართლებრივი აქტების და კანონების შესაბამისად;

VII. დაწესებულების საუკეთესო პრაქტიკა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

საუკეთესო პრაქტიკის მაგალითი	სკოლაში დანერგილია ადგილობრივ მუნიციპალიტეტთან და საგანამანთლებლო არასამთავრობო ორგანიზაციებთან თანამშრომლობის პრაქტიკა, რომლის ფარგლებში მოსწავლეები მონაწილეობას იღებენ მრავალფეროვან აქტივობებში:სპორტულ, შემოქმედებით, ეკოლოგიურ, მოქალაქეობრივი კომპეტენციის განვითარების ხელშემწყობ საზოგადოებრივი საქმიანობის პროექტებში და კონკურსებში. სკოლას ჰყავს Flex პროგრამის და ოლიმპიადის გამარჯვებული მოსწავლეები, რომლის ფარგლებში სკოლა განატლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დაჯილდოვდა ფულადი ჯილდოთი.

დაწესებულების მისია	სკოლის მისია ეფუძნება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს და დაინტერესებულია გონებრივად და ფიზიკურად ჯანსაღი, განათლებული, ლიბერალური და დემოკრატიული ღირებულებების მატარებელი პიროვნების აღზრდით, რომელსაც გაცნობიერებული ექნება საზოგადოებისა და სახელმწიფოს წინაშე საკუთარი უფლება–მოვალეობანი. ჩამოყალიბებული ექნება ადამიანის უფლებების დაცვისა და პიროვნების პატივისცემის უნარი, რომელსაც გამოიყენებს საკუთარი და სხვისი თვითმყოფადობის შესანარჩუნებლად. სკოლა უზრუნველყოფს მოსწავლეების, მშობლებისა და პედაგოგების თანამშრომლობას, უსაფრთხო და კონკურენტუნარიანი გარემოს შექმნას. სკოლის მიერ აღზრდილ პიროვნებას ექნება თეორიული ცოდნის პრაქტიკულად განხორციელების, ზნეობრივი პრინციპებითა და დამოუკიდებლად ცხოვრების უნარი. იქნება კანონმორჩილი და ტოლერანტი, მაქსიმალურად მოახდენს შეძენილი ცოდნის რეალიზებას როგორც ქვეყნის შიგნით, ისე მის საზღვრებს გარეთ, იქნება საზოგადოების სრულუფლებიანი წევრი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

VIII. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების სტატუსი (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

წინა ვიზიტის პერიოდში გაცემული რეკომენდაციების აღწერა	**წინა საავტორიზაიო ვიზიტის პერიოდში 2016 წელს სკოლამ მიიღო რეკომენდაციები:** **1. საგანმანათლებლო პროგრამები** ა.სკოლა წლიურ გამოცდებს ატარებდა V-Xკლასებში; **შესრულების სტატუსი:** არ არის დაკმაყოფილებული; **წინა მონიტორინგის პერიოდში 2019 წელს სკოლამ მიიღო შემეგი რეკომენდაციები:** **1. საგანმანათლებლო პროგრამები** ა. სკოლამ უზრუნველყოს შეფასების კრიტერიუმების გამჭვირვალობა; **შესრულების სტატუსი:** დაკმაყოფილებულია; ბ. სკოლამ უზრუნველყოს სასკოლო სასწავლო გეგმაში წლიური გამოცდების შესახებ ინფორმაციის ასახვა (კლასები საგნები); **შესრულების სტატუსი:** დაკმაყოფილებულია; **2, მატერიალური რესურსი** ა. სკოლას არ ქონდა ვებ-გვერდი; **შესრულების სტატუსი:** დაკმაყოფილებულია; ბ. სკოლის შიდა და გარე პერიმეტრის სრული ვიდეოკონტროლი; **შესრულების სტატუსი:** დაკმაყოფილებულია;

IX. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილი მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

მოსწავლეთა რაოდენობა: 193	ექსპერტი ეთანხმება ☐	**აღწერა** *(იმ შემთხვევაში, თუ ექსპერტი არ ეთანხმება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილ მოსწავლეთა ზღვრულ რაოდენობას)*
	ექსპერტი არ ეთანხმება ☒	ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილ მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობა დაფიქსირებულია-193 ; შესაბამისი დოკუმენტაციის შესწავლის და მატერიალური რესურსის (მერხები, სკამებით) ვიზუალური დათვალიერების და აღწერის შედეგად დადგინდა , რომ **სკოლას 225 მოსწავლის მიღების შესაძლებლობა აქვს.**

X. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტები:

1. საგანმანათლებლო პროგრამები

1.1 სასკოლო სასწავლო გეგმა გამომდინარეობს სკოლის მისიიდან და შეესაბამება ეროვნულ სასწავლო გეგმას	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	შპს არასახელმწიფო საერო საშუალო სკოლა ,,ოცნებამ“ შემდგომში სკოლა წარმოადგინა პედაგოგიური საბჭოს მიერ 2021 წლის 10 სექტემბრის სხდომის ოქმით დამტკიცებული 2021-2022 სასწავლო წლის საკოლო გეგმა,აღსანიშნავია, სკოლის მიერ დამტკიცებული დაწესებულების საქმიანობის მარეგულირებელი **<u>დოკუმენტის-დებულების მიხედვით სასკოლო სასწავლო გეგმის დამტკიცებაზე უფლებამისილი ორგანო არა პედაგოგიური საბჭო, არამედ დირექტორია, ამასთან, ეროვნული სასწავლო გეგმის 21-ე მუხლის მე-6 პუნქტის თანახმად, სასკოლო სასწავლო გეგმა უნდა დამტკიცდეს ახალი სასწავლო წლის დაწყებამდე არაუგვიანეს ერთი კვირით ადრე, ხოლო მოცემულ სიტუაციაში გამოდის, რომ სსგ დამტკიცდა დაგვიანებით და არაუფლებამოსილი ორგანოს მიერ.</u>**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	ძირითადი ინფორმაცია: სასკოლო სასწავლო გეგმა განსაზღვრავს სკოლის მისიას, ამოცანებს აზუსტებს ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ სავალდებულო საგნების კვირეულ ჯამური საათების რაოდენობას, განსაზღვრავს თითოეული კლასისთვის ყოველდღიური გაკვეთილების განრიგს, ესგ -ით გათვალისწინებულ/გაუთვალისწინებელ დამატებით მომსახურეობას, მოსწავლის აკადემიური მიღწევის შეფასების პრინციპებს და სკოლაში მიმდინარე საგანმანათლებლო პროცესებთან დაკავშირებულ სხვა მიმართულებებსა და აქტივობებს. კლასში მოსაწავლეთა რაოდენობა განსაზღვრულია მაქსიმუმ 28 მოსწავლით , ასევე თუ კლასში რაოდენობამ 18 მოსწავლეს გადააჭარბა, კლასი ორად იყოფა უცხოურ ენებში, მათემატიკაში, ქიმიაში, ფიზიკაში, ისტორიაში. **კალენდარი** სასწავლო წლის კალენდრის მიხედვით, 2021-2022 სასწავლო წლის დაწყების თარიღია - 2021 წლის 15 სექტემბერი. სასწავლო წელი II – XI კლასებისთვის მთავრდება 15 ივნისს, XII კლასისთვის - 20 მაისს, ხოლო პირველი კლასისთვის - 30 ივნისს; პირველი სემესტრი მთავრდება 29 დეკემბერს, მეორე სემესტრი იწყება 17 იანვარს. სკოლაში სასწავლო კვირა ხუთდღიანია. დღის რეჟიმის მიხედვით, სწავლა იწყება 9:00 საათზე, II - XII კლასებში გაკვეთილის ხანგრძლივობაა 45 წუთი, I კლასისთვის - 35 წუთი. დადგენილია შესვენების განრიგი; **სასკოლო სასწავლო საგნების ორგანიზება:** სკოლაში ყოველი საფეხურის თითოეულ კლასში ისწავლება ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული ყველა სავალდებულო საგანი , გამონაკლისია საინფორმაციო **ტექნოლოგიები, რომელის სწავლება სკოლაში დაწყებით საფეხურზე მხოლოდ მე-5 და მე-6 კლასებში მიმდინარეობს, ესგ-ის 23-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სკოლას უფლება არა აქვს საფეხურის ფარგლებში საერთოდ ამოიღოს ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული რომელიმე სავალდებულო საგანი. შესაბამისად, ეს საგანი უნდა ისწავლებოდეს საფეხურის რომელიმე კლასში იმგვარად, რომ სრულად დაიფაროს ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული შედეგები. გამონაკლისი კერძო სკოლებისთვის დაიშვება სამინისტროსთან**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	<u>წერილობითი შეთანხმებით იმ შემთხვევაში, თუ ამ საგნის სტანდარტით განსაზღვრული შედეგები ინტეგრირებულია სხვა საგნის/საგნების სასწავლო გეგმაში. აღნიშნული შეთანხმება სკოლამ ვერ წარმოადგინა.</u> <u>აღსანიშნავია , რომ სკოლა იყენებს საათობრივი ბადის მე-3 მოდელს, რომლის შეთანხმებაც ესგ. 56 მუხლის შესაბამისად განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში უნდა მომხდარიყო. საათობრივი ბადის შესწავლისას სკოლის საათობრივი ბადე არ ითვალისწინებდა საგნების წლიური ჯამური საათების რაოდენობას (ესგ.მუხლი 23,პუნქტი 1-ელი.ქვეპუნქტი.,ა''; მუხლი 56,1-ელი პუნქტი).</u> **<u>საგნობრივი კათედრები სკოლაში:</u>** სკოლაში ფუნქციონირებს საგნობრივი კათედრები, რომელთა საქმიანობა რეგულირდება სასკოლო სასწავლო გეგმით დადგენილი პირობების და სკოლის დებულების მიხედვით. **<u>დისტანციური სასწავლო პროცესის ორგანიზების გეგმა:</u>** სასკოლო-სასწავლო გეგმის დანართად სკოლამ წარმოდგინა დისტანციური სწავლების დროს გამოსაყენებლი საგაკვეთილო ცხრილი.ინტერვიუს დროს სკოლის წარმომადგენლებმა აღნიშნეს რომ სასწავლო პროცესში იყენებდნენ სკოლის ელექტრონულ ჟურნალში ჩაშენებულ პლატფორმას და მესენჯერ ჯგუფებს. **<u>დამატებითი საგანმანათლებლო და სააღმზრდელო მომსახურება:</u>** სკოლა მოსწავლეებს სთავაზობს : 1. გახანგრძლივებული დღის ჯგუფი I, II, და III კლასებში. 2. IX და X კლასებში არაბული და გერმანული ენების სწავლებას სავალდებულო სახით (არჩევანს აკეთებენ ორ ენას შორის) 3. I კლასში - ადამიანი, ბუნება და ტექნიკა (მეცნიერების საფუძვლები) 4. II - აზროვნების სამყარო (მეცნიერების საფუძვლები). <u>სასკოლო სასწავლო გეგმის შესწავლისას ,დამატებით სავალდებულო საგნების შეთავაზებისას სკოლას განსაზღვრული არ ქონდა (ადამიანი, ბუნება და ტექნიკა ; აზროვნების სამყარო) თითოეული დამატებითი საგანმანათლებლო და სააღმზრდელო მომსახურებისთვის</u> **<u>განმახორციელებელი პირის მიერ შემუშავებული სასწავლო გეგმა</u>** (თუ **ასეთი გეგმა არ არის ეროვნული სასწავლო** გეგმის საგნობრივ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	პროგრამებში), (ესგ,მუხლი22); ინკლუზიური განათლება - სკოლას არ ჰყავს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლე. სასკოლო სასწავლო გეგმაში წარმოდგენილია ინკლუზიური განათლების პრინციპები, სსსმ ინდივიდუალური სასწავლო გეგმის ფორმა . სასკოლო სასწავლო გეგმა სკოლის საინფორმაციო დაფაზეა განთავსებული, ასევე სკოლის ელექტრონული ჟურნალის საშუალებით გაგზავნილია მოსწავლეთა მშობლებთან. ვიზიტის პერიოდში სკოლამ წარმოადგინა მომდევნო სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმის პროექტი, სადაც გაითვალისწინა ვიზიტის დროს ექსპერტების მიგნებები და გაცემული რეკომენდაციები, ასევე დააზუსტა სასკოლო სასწავლო გეგმის დამტკიცებაზე უფლებამოსილი ორგანოს პროცედურები და საკითხები სკოლის დებულებაში. ***არგუმენტირებული პოზიციის წარმოდგენისას სკოლამ აღნიშნა, რომ გააგზავნილია შესათანხმებლად განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში მომდევნო სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმის საათობრივი ბადე.***
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• 2021-2022 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმა; • 2022-2023 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმის პროექტი
შეფასება:	☐ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☒ ქვესტანდარტი დარღვეულია

1.2 სასკოლო სასწავლო გეგმა პასუხობს შესაბამისი საფეხურის მოსწავლეთა მოთხოვნებს და საშუალებას აძლევს მათ, შეიძინონ ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული ცოდნა, უნარები და ღირებულებები	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლისა და სასკოლო საზოგადოებასთან (მოსწავლეებთან, მასწავლებლებთან, მოსწავლეთა მშობლებთან) ინტერვიურების შედეგად დადგინდა, რომ საწავლო პროცესი ორიენტირებულია მოსწავლეებზე, გათვალისწინებულია თითოეული მოსწავლის ინდივიდუალური მახასიათებლები, შესაძლებლობები და ინტერესები. გარდა ამისა, სწავლა-სწავლების პროცესი მიმდინარეობს კეთილგანწყობილ გარემოში. სკოლამ წარმოადგინა საგნობრივი კათედრების პროტფოლიოში

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	დაცული შემაჯამებელი დავალებების და მათი ანალიზის ფორმები. აღსანიშნავია, რომ მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვის და განხორციელების პროცესი სკოლაში დაწყებულია, თუმცა ყველა კათედრაზე არ გვხდება თემატური მატრიცა, კომპლექსური დავალებები. სკოლის წარმომადგენლებმა აღნიშნეს, რომ მიმდინარე წელს პედაგოგები ამ მიმართულებით გადიან შესაბამის ტრენინგებს და მომავალ წელს დაიწყებენ მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის ფართოდ დანერგვას. სკოლის ადმინისტრაციის მხრიდან წარმოებს მოსწავლეთა აკადემიური მოსწრების სემესტრული და წლიური შედეგების მონიტორინგი სპეციალური ფორმების მეშვეობით, ასევე სასკოლო სავალდებულო ტესტირებების გზით, საგნობრივ კათედრაზე მიმდინარეობს ჩატარებული შემაჯამებელი დავალებების სემესტრულ და წლიურ შედეგების ანალიზი.ინტერვიუირებისას პედაგოგები და რაც მთავარია, მოსწავლეები აღნიშნავენ, რომ სკოლაში უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება თითოეული მოსწავლის წინსვლას, მისი განვითარებისთვის ხელშემწყობი გარემოს ჩამოყალიბებას, მათი შემეცნებითი და პიროვნული განვითარებას. სტანდარტის უკეთ შესაბამისობის მიზნით,რეკომენდებულია მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის აქტიურად დანერგვა: მატრიცების, მშობელთა ბარათების, დიაგნოსტირების მექნიმზების და სხვ ყველა კათედრაზე შექმნა-წარმოება, სასკოლო პროექტების განხორცილება ეროვნული სასწავლო გეგმის პრიორიტეტული თემების მიხედვით.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• 2021-2022 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმა; • სკოლის ადმინისტრაციის წევრთან გასაუბრება; • სკოლის მოსწავლეებთან, მშობლებთან და მასწავლებლებთან გასაუბრება. • კათედრების პორტფოლიოები;
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

1.3 სასკოლო სასწავლო გეგმა მოსწავლეს უზრუნველყოფს სწავლისა და განვითარების თანაბარი შესაძლებლობით. სკოლას აქვს სპეციალური პროგრამა განსაკუთრებული საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთათვის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სასწავლო პროცესის მონიტორინგის და სხვა დოკუმენტაციის შედეგების ფორმების შინაარსით ჩანს, რომ სკოლა აანალიზებს თითოეულ მოსწავლესთან მიღწეულ პროგრესს. სკოლის მოსწავლეები, მათი მშობლები და მასწავლებლები ინტერვიუს პროცესში აქტიურად საუბრობენ მიმდინარე სასწავლო პროცესში მოსწავლეების ჩართულობით დაგეგმილი სხვადასხვა ერთობლივი ღონისძიებების შესახებ. მოსწავლეთა მშობლები აღნიშნავენ, რომ სკოლის ერთ-ერთი ძლიერი მხარე მოსწავლეებისთვის წარმოადგენს ინდივიდუალურ მხარდაჭერას სწავლა-სწავლების პროცესში, რაც გამოიხატება, საჭიროებისას, მოსწავლეებთან დამატებითი ინდივიდუალური მუშაობის სისტემატიურ გაწევაში,აღსანიშნავია, რომ სკოლა სწავლება განაყოფებში აქვს დაორგანიზებული, მცირე ჯგუფებში, რაც კიდევ უფრო შეუწყობს ხელს მოსწავლეთა საჭიროებების იდენტიფიცირებას და მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო გარემოს ფორმირებას. სკოლა მოსწავლეებს სთავაზობს არაფორმალურ აქტივობებში ჩართვას, რაც გამოიხატა მოსწავლეთა ინტერვიურირების პროცესში, მოსწავლეები აღნიშნავენ რომ ისინი სკოლის მიერ შეთავაზებული სხვადასხვა შემოქმედებითი, ეკოლოგიური, სპორტული კლუბების და ღონისძიებების აქტიური მონაწილეები და პრიზიორები არიან. სკოლაში არ სწავლობს სსსმ მოსწავლე, თუმცა სკოლამ წარმოადგინა სსსმ მოსწავლის მხარდაჭერის მიზნით შემუშავებული ინკლუზიური განათლების პროგრამა, ინდივიდუალური სასწავლო გეგმის პროექტი და ინკლუზიური განათლების დანერგვისა და განვითარების მონიტორინგის წესი.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• 2021-2022 წლის სასკოლო სასწავლო გეგმა; • ინკლუზიური განათლების დანერგვისა და განვითარების მონიტორინგის წესი.; • სასკოლო საზოგადოებასთან ინტერვიუს შედეგებით.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

1.4 სკოლაში არსებული მოსწავლეთა შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნულ სასწავლო გეგმას. შეფასების კრიტერიუმები გამჭვირვალეა, ცნობილია სასკოლო საზოგადოებისათვის და შედეგები გამოიყენება მოსწავლეთა აკადემიური მოსწრების გასაუმჯობესებლად	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლის 2021-2022 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმაში აღნიშნულია, რომ სკოლის მოსწავლეები ფასდებიან ეროვნული სასწავლო გეგმით დადგენილი პირობების შესაბამისად. მოსწავლეთა აკადემიური შეფასება არის სამკომპონენტიანი: საშინაო, საკლასო და შემაჯამებელი დავალება; დაწესებულება შეფასების მიზნად ისახავს სწავლა-სწავლების ხარისხის მართვას, რაც გულისხმობს ერთი მხრივ, სწავლის ხარისხის გაუმჯობესებაზე ზრუნვას და მეორე მხრივ, სწავლა-სწავლების ხარისხის მონიტორინგს. აკადემიური მოსწრების გასაუმჯობესებლად სკოლა იყენებს შეფასების განმსაზღვრელ და განმავითარებელ შეფასების ტიპს, რომელიც შეესაბამება ეროვნულ სასწავლო გეგმას. I-IV კლასებში და ასევე V კლასის პირველ სემესტრში გამოიყენება მხოლოდ განმავითარებელი შეფასება, ხოლო V კლასის მეორე სემესტრიდან - XII კლასის ჩათვლით, როგორც განმსაზღვრელი, ასევე განმავითარებელი შეფასება. მოსწავლეთა აკადემიური მიღწევები ფასდება ათქულიანი სისტემით ხუთი დონის მიხედვით. ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნის შესაბამისად, სასკოლო სასწავლო გეგმაში განსაზღვრულია შემაჯამებელი დავალებების რაოდენობა თითოეულ საგანში სემესტრების მიხედვით, გაცდენილი დავალების აღდგენის წესი (სკოლაში გამოცხადებიდან 2 კვირის ვადაში). პედაგოგები აფასებენ მოსწავლეების მიერ სტანდარტით განსაზღვრული სწავლის შედეგებს. მასწავლებლები შემაჯამებელ დავალებებში მოსწავლეების მიერ მიღებულ შეფასებებს ასახავენ კომენტარის სახით სპეციალურ ფორმაში. მასწავლებლებს, რომლებიც გაერთიანებულნი არიან საგნობრივ კათედრებში შემუშავებული აქვთ შემაჯამებელი დავალებების სხვადასხვა სახეები, მათ ჩამონათვალშია: ესსე, პოსტერი, დისკუსია, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების ნიმუშის შექმნა, ექსპერიმენტი, პრეზენტაცია, პროექტი, რეფერატი და სხვა.. თუმცა, შემაჯამებელი დავალებების და საგნობრივი პორტფოლიოს გადამოწმებისას მაინც ჭარბობს ტესტური ტიპის დავალებები, სტანდარტის უკეთ შესაბამისობის მიზნით, მნიშვნელოვანია, რომ აქტიურად დაინერგოს მრავალფეროვანი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	შემაჯამებლები,მათ შორის კომპლექსური ტიპის.შერჩევითი პრინციპით გადამოწმდა და დადასტურდა სკოლის ელექტრონულ ჟურნალში მშობლებისთვის განმავითარებელი შეფასების გაზიარების პრაქტიკა. სკლასო ოთახებში გაკრულია შეფასების რუბრიკები და დაინტერესებული მხარეებისთვის ხელმისაწვდომია. მასწავლებლებმა ინტერვიურებისას აღნიშნეს, რომ შეფასების რუბრიკებს კლასის დამრიგებლები სასწავლო წლის დასაწყისში მშობლებს და მოსწავლეებს აცნობენ შეხვედრებზე; **<u>სასკოლო სასწავლო გეგმის გადამოწმებისას დადგინდა, რომ სკოლაში ტარდება წლიური სასკოლო გამოცდები V-XII კლასებში სხვადასხვა საგნებში. გამოცდაზე მიღებულ ქულას გავლენა აქვს საგნის წლიურ ქულაზე და აისახება საბოლოო შეფასებაზე.ესგ-ის 32-ე მუხლის მე- 10 პუნქტის შესაბამისად, სკოლა მხოლო საბაზო და/ან საშუალო საფეხურზე უნიშნავს მოსწავლეებს წლიურ გამოცდებს,შეაბამისად, წინააღმდეგობაში მოდის სკოლის მიერ სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული გამოცდების ჩატარების წესი კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებთან.</u>** სკოლას მიეცა რეკომენდაცია საშემოდგომო გამოცდების დადგენის საკითხთან დაკავშირებით, კერძოდ სკოლამ **<u>დააზუსტოს სასკოლო სასწავლო გეგმაში საშემოდგომო გამოცდების ჩატარების ვადები,</u>** აღნიშნული საკითხებზე მითითებები სკოლამ მიიღო მხედველობაში და ვიზიტის დროს წარმოადგინა სასკოლო სასწავლო გეგმის პროექტი, რომელიც არ ითვალისწინებდა V, VI კლასებში გამოცდების ჩატარების საკითხს, ასევე დაზუსტდა საშემოდგომო გამოცდების ჩატარების ვადებიც. ***არგუმენტირებული პოზიციის წარმოდგენისას სკოლამ აღნიშნა,რომ გამოცდების დაწყებით საფეხურზე ჩატარების საკითხი მომდევნო სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმაში არ იქნება გათვალისწინებული.***
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• 2021-2022 წლის სასკოლო სასწავლო გეგმა; • ინტერვიუები მოსწავლეებთან, მოსწავლეთა მშობლებთან, მასწავლებლებთან. • მოსწავლეთა შეფასების რუბრიკები;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	• სკოლის ელ. ჟურნალი - Schoolbook https://eservices.schoolbook.ge/; • საგამოცდო კომისიის და შეფასების დამტკიცების შესახებ ბრძანებები.
შეფასება:	☐ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☒ ქვესტანდარტი დარღვეულია

1.5 შემუშავებულია მოსწავლის აკადემიური მოსწრების შესახებ მშობლის ინფორმირების წესი და მშობელი უზრუნველყოფილია სასკოლო ცხოვრებაში მონაწილეობის შესაძლებლობით	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	დაწესებულების მარეგულირებელ დოკუმენტებში აღწერილია დამრიგებლის მოვალეობებსა და მშობლის სკოლაში გამოცხადების პირობებში , მშობლეთა ინფორმირებულობის საკითხები, კერძოდ, დამრიგებელი ვალდებულია მშობელს წერილობითი ფორმით აცნობოს მოსწავლის სწავლის და გაცდენის შედეგები ყოველთვიურად, ხოლო მშობელს შესაძლებლობა აქვს სკოლაში ვიზიტი განახორციელოს შინაგანაწესით დადგენილი ვიზიტის დღეების მიხედვით. დაწესებულების წარმომადგენლებთან, ასევე მშობლებთან ინერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ სკოლის ელექტრონული ჟურნალის საშუალებით ხდება ინფორმირება მოსწავლის აკადემიური თუ სხვა საჭიროებების შესახებ. ასევე დანერგილია კომუნიკაცია ტელეფონით და სოციალური ქსელის დახურული ჯგუფებით.სკოლის სოციალურ ქსელში აქტიურად თავსდება სკოლის აქტივობებისა და მრავალფეროვანი ღონისძიებების ამსახველი ინფორმაცია, რაც აძლევს მშობელს საშუალებას სასკოლო აქტივობებს მიადევნოს თვალყური და შესაძლებლობის ფარგლებში ჩაერთოს სასკოლო ცხოვრებაში.გასაუბრების შედეგად გაირკვა, რომ კლასის დამრიგებლები,სასწავლო წლის დასაწყისში, პირველ შეხვედრაზე ახდენენ მშობლების ინფორმირებას სასკოლო სასწავლო გეგმის ძირითად ასპექტებთან დაკავშირებით. ასევე აცნობენ: შინაგანაწესს, სკოლის პანდემიის პირობებში საგანგებო სიტუაციების სამოქმედო გეგმას, მოსწავლეთა შეფასების სისტემას და სხვა, სასკოლო ცხოვრებისთვის მნიშვნელოვან საკითხებს. ყველა მშობელმა პოზიტიურად შეაფასა სასკოლო გარემო, კლ. ხელმძღვანელების მუშაობა. საგნის მასწავლებლების მზრუნველობა და კომპეტენცია.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• სკოლის დებულება; • შინაგანაწესი; • ინტერვიუები; • სკოლის სოციალური გვერდი https://www.facebook.com/skolaocneba
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

1.6 შემუშავებულია სასკოლო სასწავლო გეგმის შეფასებისა და შემდგომი გაუმჯობესების მექანიზმი	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლის სასკოლო სასწავლო გეგმაში გაწერილია შიდა სასკოლო მონიტორინგის პრინციპები სასწავლო პროცესზე ადმინისტრაციის კონტროლის მიმართულებები, რომლის ერთ-ერთი მიმართულებაა სასკოლო სასწავლო გეგმის შეფასება და მის შემდგომ გაუმჯობესებაზე ზრუნვა.განსაზღვრულია მონიტორინგის სამიზნე ჯგუფები და საკითხები:მასწავლებელთა შეფასება,კათედრების საქმიანობის შეფასება,დამრიგებლის მუშაობის შეფასება,სადამრიგებლო საათის,საგნობრივი სტანდარტების მიღწევის შედეგების,მოსწავლეთა შეფასების,შემაჯამებელი დავალებების, სასკოლო წერების,საგაკვეთილო დაკვირვება, სასკოლო საზოგადოების სხვადასხვა კითხვარების საშუალებით გამოკითხვა და სხვ. მონიტორინგის და კვლევის შედეგების გაანალიზების შემდგომ სკოლა მომდევნო სასკოლო სასწავლო გეგმის გაუმჯობესების პრიორიტეტებს ასახელებს.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• სასკოლო სასწავლო გეგმა; • დაკვირვების და მონიტორინგის ფორმები; • დირექტორის მოადგილის ანგარიში; • სასკოლო სასწავლო გეგმის გადახედვისა და გაუმჯობესების სამუშაო გეგმის შესრულების ანალიზი; • მასწავლებელთა , მოსწავლეთა, მშობელთა კითხვარები .
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

20

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

რეკომენდაციები:	1.1 განსხვავებული საათობრივი ბადით სწავლების შემთხვევაში სკოლამ შეათანხმოს დადგენილი წესისამებრ განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან; ასახოს სსგ-ში საგნების წლიური ჯამური საათების რაოდენობა; სსგ დაამტკიცოს უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ დადგენილ ვადებში. 1.4 სკოლამ სასკოლო წლიური გამოცდები დანიშნოს მხოლოდ საბაზო /საშუალო საფეხურზე.დაადგინოს საშემოდგომო გამოცდების ჩატარების ვადები.
რჩევები:	
ხარვეზები:	1.1 სკოლა იყენებს ესგ-ის 56-ე მუხლით დადგნილ საათობრივი ბადის მე-3 მოდელს , რომლის შეთანხმებაც განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში არ მომხდარა . საათობრივი ბადის შესწავლისას სკოლის საათობრივი ბადე არ ითვალისწინებდა საგნების წლიური ჯამური საათების რაოდენობას (ესგ.მუხლი 2-ე 3,პუნქტი 1-ელი,ქვეპუნქტი,,ა''; მუხლი 56-ე,1-ელი პუნქტი).ასევე, სასკოლო სასწავლო გეგმა არაუფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ იყო დამტკიცებული კანონმდებლობით დადგენილი ვადის დაგვიანებით. 1.4 დარღვეულია ესგ-ის 32-ე მუხლის მე- 10 პუნქტის მოთხოვნა, კერძოდ სკოლა დაწყებით საფეხურზე(V. VI კლ) ატარებს სასკოლო წლიურ გამოცდებს.
სტანდარტის შეფასება	მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით: ☐ სტანდარტი დაკმაყოფილებულია ☒ სტანდარტი დარღვეულია

2. მატერიალური რესურსი

2.1 დაწესებულებას აქვს სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო პროცესის შესაბამისი მატერიალური რესურსი, მათ შორის:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

ა) ერთ მისამართზე არსებული საერთო ფართი:	
დაწესებულების საერთო ფართის ოდენობა მისამართების მიხედვით:	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	შპს არასახელმწიფო საერო საშუალო სკოლა „ოცნება“ (ს/კ 221290886) ფუნქციონირებს ქალაქ წყალტუბოში, კოლხეთის ქუჩა №2-ში მდებარე სამსართულიან შენობაში. საჯარო რეესტრის ამონაწერით სკოლასა და შენობის მფლობელს, სსიპ წყალტუბოს მუნიციპალიტეტს, შორის გაფორმებულია ორი საიჯარო ხელშეკრულება: **I**.ქ.წყალტუბო, კოლხეთის ქუჩა №2-ში მდებარე შენობის მესამე სართულის 225,8 კვ.მ ფართზე (უძრავი ქონების საკადასტრო კოდი 29.08.33.031), სადაც განთავსებულია 5 საკლასო ოთახი და ორი სველი წერტილი. საჯარო რეესტრის ამონაწერით ხელშეკრულება გაფორმებულია 2016 წელს 10 წლის ვადით. (იჯარის ხელშეკრულება N15, დამოწმების თარიღი 09/08/2016, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო). აღნიშნული იჯარის ხელშეკრულებით, სკოლა ვერ უზრუნველყოფს ფართით სარგებლობის მდგრადობას ავტორიზაციის პერიოდში. ექსპერტთა მიგნებების გათვალისწინებით, ვიზიტის დროს, სკოლამ წერილით მიმართა შენობის მფლობელს აღნიშნულ ფართზე 15 წლით იჯარის ხელშეკრულების გაგრძელების შესახებ. **II.** ქ.წყალტუბო, კოლხეთის ქუჩა №2-ში მდებარე შენობის I და II სართულზე არსებულ 803.3 კვ.მ ფართზე. იჯარის ხელშეკრულება გაფორმებულია 2021 წელს და ქმედითია 12 წელი. (იჯარის ხელშეკრულება №1, დამოწმების თარიღი 10/06/2021, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო). შენობის I სართულზე არის ქიმია-ბიოლოგიისა და ფიზიკის კაბინეტები, მოსაცდელი ოთახი და ბუფეტი. II სართულზე განთავსებულია 8 საკლასო ოთახი, ბიბლიოთეკა, კომპიუტერული კლასი და ადმინისტრაციის სამუშაო ოთახები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	ასევე, იჯარის ხელშეკრულებაა გაფორმებული შენობის პირველ სართულის 175, 2 კვ.მ ფართზე ა.ი.პ. წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ბავშვთა და ახალგაზრდობის ცენტრთან. აღნიშნულ ფართში ფუნქციონირებს სპორტული დარბაზი (129.8 კვ.მ) და მუსიკის ოთახი (45.4 კვ.მ). იჯარის ხელშეკრულებით განსაზღვრულია ფართით სარგებლობის პერიოდი, 2022-2023 სასწავლო წლის 1 სექტემბრიდან 30 ივნისის ჩათვლით ქორეოგრაფიის წრის დარბაზი (სპორტულ დარბაზი) კვირაში 2 დღე-დილის 9 საათიდან 14 საათამდე; ვოკალის წრის ოთახი კვირაში 1 დღე-დილის 9 საათიდან 14 საათამდე.
ფაქტობრივი მისამართი	ქალაქი წყალტუბო, კოლხეთის ქუჩა № 2
მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი	**29.08.33.031**
კვ.მ.	შენობის ფართი- **1029,1 კვ.მ**
მტკიცებულებები/ინდიკატორები	• ამონაწერები საჯარო რეესტრიდან: განცხადების რეგისტრაცია მომზადების თარიღი N 882022489784 - 05/07/2022 11:40:15 06/07/2022 10:27:00 • შენობის შიდა აზომვითი ნახაზი • იჯარის ხელშეკრულება №1-10 /06/ 2021 • იჯარის ხელშეკრულება №15-09/08/2016 • წერილი №40 - წყალტუბოს მუნიციპალიტეტს 07/07/2022 • იჯარის ხელშეკრულება -ა.ი.პ. წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ბავშვთა და ახალგაზრდობის ცენტრი-05/07/2022
შეფასება	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

ბ) საკლასო ოთახები, აღჭურვილი სათანადო ინვენტარით, კერძოდ: მოსწავლეთა ინდივიდუალურ საჭიროებებს მორგებული მერხებით, სასკოლო დაფებითა და სხვა აუცილებელი მატერიალური საშუალებებით	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლაში სულ 13 საკლასო ოთახია. ასევე ფუნქციონირებს კომპიუტერული კლასი და საბუნებისმეტყველო კაბინეტები: ქიმია-ბიოლოგიისა და ფიზიკის. საკლასო ოთახები აღჭურვილია 223 ინდივიდუალური მერხით და სკამით, მასწავლებლის მაგიდა/სკამით, სასკოლო დაფებით. საკლასო ოთახებში გამოკრულია სასწავლო მიზნებისთვის განკუთვნილი სხვადასხვა თვალსაჩინოებები, მოსწავლეთა მიერ შესრულებული დავლებები, განხორციელებული პროექტები, შეფასების რუბრიკები და საგაკვეთილო ცხრილები. დაწესებულების მიერ წარმოდგენილი მატერიალური რესურსის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაციის შესწავლით, სკოლის მფლობელობაშია შემდეგი სასკოლო ინვენტარი: მოსწავლის მერხი სკამით-305, დაფა-22, პროექტორი-1, პრინტერი-2, კომპიუტერი-15.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• ვიზუალური დათვალიერება • ამონაწერი ბრუნვითი უწყისიდან (ორისის პროგრამა, ძირითადი საშუალებები: მერხები, კომპიუტერული ტექნიკა, დაფები და სხვადასხვა) • შესყიდვის ხელშეკრულებები, შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტებით • სასაქონლო ზედნადებები.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

გ) სპორტული დარბაზი, აუზი ან მოედანი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლა სპორტული აქტივობებისთვის იყენებს შენობის პირველ სართულზე-129,8 კვ.მ ფართის სივრცეს, საიდანაც 60კვ.მ ფართი განკუთვნილია გასახდელებისთვის. ვიზიტის დროს, აღნიშნულ ფართში სპორტული ინვენტარი არ იყო განთავსებული, თუმცა სკოლის მიერ წარმოდგენილია მატერიალური რესურსის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაციით (ბრუნვითი უწყისი-სხვადასხვა) სკოლას აქვს კალათბურთის ფარი, ბურთები, ლახტი, ჰულაჰუფი და სხვა სპორტული ინვენტარი. ასევე მოსაწესრიგებელია გასახდელებიც. სკოლის დირექტორის განმარტებით, სპორტის გაკვეთილებისთვის აქტიურად იყენებენ სკოლის მიმდებარე ტერიტორიაზე განთავსებულ სავარჯიშო ინვენტარს (ტრენაჟორებს) და ა(ა)იპ ,,წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სპორტული კლუბების გაერთიანების“ კუთვნილ დარბაზს. სკოლას აქვს შესაძლებლობა ეზოში მოაწყოს სპორტული მოედანი. დაწესებულებამ, ვიზიტის დროს, დახმარებისთვის მიმართა წყალტუბოს მუნიციპალიტეტს სკოლის უკანა ეზოს ტერიტორიის გასაწმენდად და უსაფრთხოების ზომების გასატარებლად. თავის მხრივ, სკოლამ ეზოს სრულად გასაკონტროლებლად, ვიზიტის დროს შეიძინა ორი ვიდეოთვალი. აღსანიშნავია, რომ სკოლას გარკვეული წარმატებები აქვს სპორტში. სკოლის გოგონათა ფეხბურთის გუნდმა, მეორე ადგილი დაიკავა წყალტუბოს რაიონის მასშტაბით ქალთა ფეხბურთის ჩემპიონატზე.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• ვიზუალური დათვალიერება • იჯარის ხელშეკრულება -ა.ი.პ. წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ბავშვთა და ახალგაზრდობის ცენტრი-05/07/2022 • ამონაწერი ბრუნვითი უწყისიდან (ორისის პროგრამა, ძირითადი საშუალებები- სხვადასხვა) • ა(ა)იპ ,,წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სპორტული კლუბების გაერთიანებასთან“ გაფორმებული ხელშეკრულება-22/06/2022 • წერილი № 41 (წყალტუბოს მუნიციპალიტეტი)-07/07/2022
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

დ) სათანადოდ აღჭურვილი ლაბორატორია/ლაბორატორიები	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლას აქვს ორი საბუნებისმეტყველო კაბინეტი: ქიმია-ბიოლოგიის და ფიზიკის. ორივე კაბინეტი აღჭურვილია შესაბამისი ინვენტარით. ვიზიტის დროს, ქიმია-ბიოლოგიის კაბინეტში ქიმიური რეაქტივები განთავსებული იყო კარადებში, რომლებიც ადვილად ხელმისაწვდომი იქნებოდა მოსწავლეებისთვის, ასევე კარადები არ იყო დაცული მზის სხივებისგან. აღნიშნული გარემოებები ვერ უზრუნველყოფდა ლაბორატორიაში უსაფრთხოების წესების დაცვას. ექსპერტთა მიგნებების გათვალისწინებით, სკოლამ ვიზიტის დროს უზრუნველყო ყველა რეკომენდაციის შესრულება. საბუნებისმეტყველო კაბინეტებში არის სველი წერტილები, აქვს ფანჯრები, რაც განიავების საშუალებას იძლევა. სტანდარტის უკეთ შესაბამისობის მიზნით,რეკომენდებულია სკოლამ უზრუნველყოს ლაბორატორიაში გამწოვი კარადის მოწყობა.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• ვიზუალური დათვალიერება • ამონაწერი ბრუნვითი უწყისიდან (ორისის პროგრამა, ძირითადი საშუალებები- სხვადასხვა) • ხელშეკრულება და მიღება-ჩაბარების აქტი შპს „ინსტა ჯორჯია“(25.08.2011)
შეფასება:	☒ **ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია** ☐ **ქვესტანდარტი დარღვეულია**

2.2 სკოლაში არის საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისთვის აუცილებელი გარემო: ელექტროენერგიის მიწოდების უწყვეტი სისტემა, სველი წერტილები, ბუნებრივი განათების შესაძლებლობა და გათბობის საშუალებები	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლაში არის სასწავლო პროცესის წარმართვისათვის აუცილებელი გარემო. ყველა საკლასო ოთახს აქვს ბუნებრივი განათება. დამონტაჟებულია ცენტრალური გათბობის სისტემა. ელექტრო ენერგიის, გაზის და წყლის მიწოდების უწყვეტობას უზრუნველყოფს

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	პროვაიდერებთან გაფორმებული ხელშეკრულებები და დაწესებულების მიერ წარმოდგენილი კომუნალური გადახდის ქვითრები. სკოლის სარგებლობაში არსებულ ფართში სულ 5 საპირფარეშოა, მათ შორის ერთი სსსმ პირისთვის. სკოლა ასევე იყენებს პირველ სართულზე, ა.ი.პ. წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ბავშვთა და ახალგაზრდობის ცენტრის ფართში განთავსებულ ორ საპირფარეშოს. ყველა საპირფარეშოში არის ონკანი და დაცულია სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები. სველი წერტილები განკუთვნილია ბიჭებისა და გოგონებისთვის. სტანდარტის უკეთ შესაბამისობის მიზნით, რეკომენდებულია სკოლამ იზრუნოს ცალკე უფროსებისთვის სველი წერტილების მოწყობაზე.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• ვიზუალური დათვალიერებით • კომუნალური გადასახადის გადახდის ქვითრები • ხელშეკრულებები: ,,ენერგო პრო ჯორჯიასთან“, სოკარ ჯორჯია გაზთან“ • ხელშეკრულება №1 -შპს ,, მეგა ჰოულდინგ“ სადეზინფექციო მომსახურეობა 2021 • ხელშეკრულება №31-შპს ,,ჰიგია“ სადეზინფექციო მომსახურეობა 18/01/2022
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.3 სკოლაში არის სასკოლო სასწავლო გეგმის შესაბამისი ბიბლიოთეკა სათანადო რაოდენობის წიგნადი ფონდით, პერიოდიკითა და სხვა დამხმარე მასალით	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლაში ფუნქციონირებს ბიბლიოთეკა. ბიბლიოთეკაში წიგნები განთავსებულია თაროებზე თემატურად, ხოლო გრიფირებული სასკოლო სახელმძღვანელოები კლასების მიხედვით. ბიბლიოთეკაში არის ინტერნეტქსელში ჩართული კომპიუტერი. მოქმედებს ანბანურ-სისტემური კატალოგი. გამოკრულია ბიბლიოთეკის სამუშაო საათები

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	და ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი. წიგნები დამუშავებულია საბიბლიოთეკო კლასიფიკაციისა და კატალოგიზაციის წესით. ბიბლიოთეკის საინვენტარო წიგნში სულ აღრიცხულია 1255 ერთეული წიგნი. სკოლა სარგებლობს პერიოდული გამოცემით ,,ახალი განათლება“. შემუშავებულია ბიბლიოთეკის დებულება, სადაც გაწერილია ბიბლიოთეკის დანიშნულება და ამოცანები, სასკოლო ბიბლიოთეკის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი, ბიბლიოთეკაში ქცევისა და წიგნთან მოპყრობის წესები. საშტატო განრიგის მიხედვით სკოლას ჰყავს ბიბლიოთეკარი, რომელთანაც გაფორმებულია შრომითი ხელშეკრულება.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• ვიზუალური დათვალიერება • ბიბლიოთეკის საინვენტარო წიგნი • საშტატო განრიგი • საინვენტარო აღრიცხვის დანართი • ხელშეკრულება ,,ახალ განათლებასთან“21/01/222
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.4 სკოლას აქვს ადაპტირებული გარემო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთათვის	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლა იზიარებს ინკლუზიური განათლების პრინციპებს და უზრუნველყოფს სკოლის ფიზიკური გარემოს ადაპტირებას სსსმ პირისთვის. შენობის შესასვლელისთვის და შიდა კიბეებისთვის დამზადებულია პანდუსები. შენობის შესასვლელი პანდუსის სტანდარტთან შესაბამისობის მოყვანა მოხდა ვიზიტის დროს. ასევე, ვიზიტის დროს მოხდა სსსმ პირისთვის განსაზღვრული სველი წერტილის შესასვლელი კარის გადიდება. ამ ეტაპზე სკოლას სსსმ მოსწავლე არ ჰყავს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• ვიზუალური დათვალიერება • პანდუსის დამზადების მიღება-ჩაბარების აქტი • კარების შესყიდვის დოკუმენტაცია
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.5 სკოლას აქვს სასკოლო სასწავლო გეგმით დასახული მიზნების განხორციელებისათვის აუცილებელი საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები, მათ შორის, ინტერნეტით მუდმივად უზრუნველყოფილი კომპიუტერები. ვებგვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლას აქვს სასკოლო სასწავლო გეგმით დასახული მიზნების განხორციელებისთვის აუცილებელი საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები. სკოლაში ფუნქციონირებს კომპიუტერული კლასი, სადაც განთავსებულია 7 ინტერნეტქსელში ჩართული კომპიუტერი და ერთი ლეპტოპი. კომპიუტერული ტექნოლოგიები გამოიყენება სკოლის მართვაშიც. კომპიუტერები განთავსებულია დირექტორის კაბინეტში, სამასწავლებლოში, ბიბლიოთეკასა და ბუღალტრის ოთახში. სკოლის მფლობელობაში 15 კომპიუტერი, მათ შორის 2 ლეპტოპი. სკოლას აქვს 2 ქსეროქსის აპარატი და ერთი პროექტორი. სკოლის ვებგვერდია http://www.skolaocneba.ge/, სადაც განთავსებულია ინფორმაცია სკოლის შესახებ, სასწავლო პროცესი, ღონისძიებები, სიახლეების გვერდი, გალერეა, საკონტაქტო ინფორმაცია: სკოლის მისამართი, ტელეფონის ნომერი და ელ.ფოსტა skolaocneba@gmail.com., ასევე ვებგვერდს აქვს შესაძლებლობა, წერილობით მიმართოს ნებისმიერმა პირმა. სკოლა საკომუნიკაციოდ აქტიურად იყენებს სოციალურ ქსელს https://www.facebook.com/skolaocneba და ელ. ჟურნალს SchoolBook-ს. სკოლას ინტერნეტი მიეწოდება სს ,,სილქნეტთან'' გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე. წარმოდგენილია ვებგვერდის დამზადების ხელშეკრულება, ხელშეკრულება შპს ,,სერვ.ჯი''-სთან და დომენისა და ჰოსთინგის გადახდის ქვითრები .
მტკიცებულებები/ინდიკატორებ	• სკოლის ვებგვერდი http://www.skolaocnebal.ge/

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

ი:	• ფეისბუქგვერდი https://www.facebook.com/skolaocneba • ვიზუალური დათვალიერება • ხელშეკრულება შპს ,, სერვ.ჯი'' • ხელშეკრულება 21 SB0923-17 ,,SchoolBook" 28/09/2021 • ჰოსტინგის და დომენის გადახდის ქვითრები • ხელშეკრულება , სკოლის ვებგვერდის დამზადებაზე ფ/პ ნიკოლოზ ნუცუბიძე (01/06/2021) • ხელშეკრულება სს ,,სილქნეტთან '' 16/03/2017
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.6 სკოლაში დაცულია პერსონალისა და მოსწავლეთა უსაფრთხოება და ჯანმრთელობა, რისთვისაც არსებობს:	
ა)ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები და ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლას შემუშავებული აქვს უსაფრთხოების უზრუნველყოფისა და პირველადი დახმარების აღმოჩენის წესი. აღნიშნული წესი მოიცავს სახანძრო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმებს. შენობის შესასვლელში გამოკრულია უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით გასატარებელ ღონისძიებათა ინსტრუქცია. ყველა სართულზე განთავსებულია ცეცხლმაქრები, საევაკუაციო გეგმები, შენობის საევაკუაციო გზებზე მოწყობილია ავარიული განათებები და „საევაკუაციო გზის" მიმართულების მაჩვენებელი მანათობელი ნიშნები. ხანძრის ჩაქრობის პირველადი საშუალებების განთავსების ადგილას გამოკრულია ერთიანი სატელეფონო ნომერი „112" და ცეცხლმაქრის გამოყენების ინსტრუქციები. ყველა საკლასო ოთახში და დერეფნებში დამონტაჟებულია კვამლის დეტექტორები, დერეფნებში სახანძრო განგაშის ღილაკები. შენობას აქვს ერთი ძირითადი და ერთი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	სათადარიგო გასასვლელი. სახანძრო უსაფრთხოების პრევენციისა და სწრაფი რეაგირებისთვის, დირექტორის ბრძანებით განსაზღვრულია პასუხისმგებელი პირები და გაწერილია მათი ფუნქცია-მოვალეობები. ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების მიზნით შენობა აღჭურვილია 8 ცეცხლმაქრით, რომლებიც განთავსებულია საევაკუაციო გეგმით განსაზღვრულ ადგილებში, სადაც ასევე გამოკრულია ცეცხლმაქრის მოხმარების ინსტრუქცია. ცეცხლმაქრების გადამუხტვა ხდება პერიოდულად საჭიროების მიხედვით. შენობის შესასვლელში დამონტაჟებულია სახანძრო სტენდი შესაბამისი აღჭურვილობით. ვიზიტის დროს სკოლამ წარმოადგინა, სახანძრო-ტექნიკური შემოწმების შედეგების საფუძველზე შედგენილი მიწერილობა №634 და შესრულებული სამუშაოების ამსახველი დოკუმენტაცია, რომელთა საერთო ღირებულება 4500ლარს შეადგენს.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• ვიზუალური დათვალიერება • უსაფრთხოების უზრუნველყოფისა და პირველადი დახმარების აღმოჩენის წესი • მიღება-ჩაბარების აქტი-საევაკუაციო მანათობელი,მანიშნებლის შეძენა-მონტაჟზე 02.03.2020. • მომსახურების ხელშეკრულება, ცეცხლმაქრების გადამუხტვა (13/01/2022) • მიღება-ჩაბარების აქტი, ხის კონსტრუქციების დამუშავებაზე-01/03/2022 • სახელმწიფო სახანძრო და სამოქალაქო უსაფრთხოების ზედამხედველობის მიწერილობა № 634 • სახანძრო უსაფრთხოების სისტემების შესყიდვა-31.03.2020
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია
ბ) თვალსაჩინო ადგილას გამოკრული ევაკუაციის გეგმა	

31

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	შენობის სამივე სართულზე, თვალსაჩინო ადგილზე განთავსებულია უფლებამოსილი ორგანოს მიერ შესრულებული საევაკუაციო გეგმები სულ 3 ცალი.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• ვიზუალური დათვალიერება • მიღება-ჩაბარების აქტი-საევაკუაციო გეგმების დამზადებაზე-01/-3/2020
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია
გ) სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლის მიერ შემუშავებული ,,უსაფრთხოების უზრუნველყოფისა და პირველადი დახმარების აღმოჩენის წესი“ მოიცავს სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმებს. სკოლას ასევე შემუშავებული აქვს პანდემიის პირობებში სამოქმედო გეგმა. პირველადი სამედიცინო დახმარების მიზნით სკოლის მეორე სართულზე მოწყობილია სამედიცინო კაბინეტი, სადაც განთავსებულია პირველი სამედიცინო დახმარების ინვენტარი: პაციენტის გასასინჯი ტახტი, სამედიცინო მაგიდა, მაცივარი, კარადა მედიკამენტებისთვის. სამედიცინო კაბინეტს აქვს სველი წერილი. საშტატო განრიგით სკოლას ჰყავს ექიმი, რომელიც აწარმოებს სამედიცინო შემთხვევების აღრიცხვის ჟურნალს; დახარჯული მედიკამენტებისა და სამედიცინო მასალების სააღრიცხვო ფორმას, ვადაგასული მედიკამენტებისა და სამედიცინო მასალების სააღრიცხვო ფორმას. ასევე რეცხვისა და დეზინფექციის აღრიცხვის ჟურნალს, სკოლაში ჰიგიენური და სანიტარული ნორმების დაცვის მიზნით.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• ვიზუალური დათვალიერებით • საშტატო განრიგით • უსაფრთხოების უზრუნველყოფისა და პირველადი დახმარების აღმოჩენის წესი; • გასაუბრებით სკოლის ექიმთან

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია
დ) წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლას შემუშავებული აქვს უსაფრთხოებისა და წესრიგის დაცვის წესები, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურის და სპორტის მინისტრის 2019 წლის 06/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესისა და პირობების“ გათვალისწინებით. სკოლამ, აღნიშნული წესი 28/10.2019 წელს შესათანხმებლად წარადგინა სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში, მიღებული პასუხის შესაბამისად 21/01/2020 წელს სკოლამ მიმართა საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს. რეკომენდაციების გათვალისწინებით შემუშავებული ,,უსაფრთხოებისა და წესრიგის დაცვის წესი და პირობები“ 30/06/2022 წელს კვლავ შესათანხმებლად წარადგინა საქართველოს განათლების და მეცნიერებისა სამინისტროში. სკოლა ელოდება პასუხს. ,,ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესისა და პირობების“ შესაბამისად სკოლაში თვალსაჩინო ადგილზე გამოკრულია, ინფორმირებულობის გაზრდის უზრუნველყოფის მიზნით საჭირო ტელეფონის ნომრები. დირექტორის ბრძანებით განსაზღვრულია წესრიგის დაცვაზე უფლებამოსილი პირი, შექმნილია მრჩეველთა საბჭო და განსაზღვრულია ბავშვთა ძალადობასთან დაკავშირებული შიდა წესის გაცნობისა და ამ წესის დაცვაზე პასუხისმგებელი პირი. სკოლას უკონტაქტო ზედაპირული დათვალიერების მიზნით შეძენილი აქვს ხელის მეტალოდეტექტორი.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	და პირობები • წერილი №62- სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს 28/10/2019 • წერილი 20/01/2020-საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს. • წერილი №36-საქართველო განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს 30/06/2022 • სამინისტროს წერილი-MES52000132026-05/06/2020 • სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრის წერილი MES 62000020274-13/01/2020 • ბრძანება №29 ო-უფლებამოსილი პირის განსაზღვრა • ბრძანება №29 ი-მრჩეველთა საბჭოს შექმნა • ბრძანება №29 ლ- ბავშვთა ძალადობასთან დაკავშირებული შიდა წესის გაცნობისა და ამ წესის დაცვაზე პასუხისმგებელი პირის განსაზღვრა • მეტალოდეტექტორის შესყიდვის დოკუმენტაცია-22/11/2019
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია
ე) კერძო სამართლის იურიდიული პირების – ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისათვის – უსაფრთხოების კამერები, რომლებიც უზრუნველყოფენ სკოლის შიდა და გარე პერიმეტრის კონტროლს და რომელიც შეესაბამება „აზარტული და სხვა მომგებიანი თამაშობების (გარდა წამახალისებელი გათამაშებისა) ადგილებზე და გარე პერიმეტრზე ვიდეომეთვალყურეობის სისტემებისა და მათი დამონტაჟება-ექსპლოატაციის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2007 წლის 29 აგვისტოს №1143 ბრძანებით განსაზღვრულ ვიდეომეთვალყურეობის სისტემებსა და მათი დამონტაჟება-ექსპლუატაციის წესებს	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლის შიდა და გარე პერიმეტრის დათვალიერება ხდება ვიდეოკამერებით, რომელიც დამონტაჟებულია "აზარტული და სხვა მომგებიანი თამაშობების (გარდა წამახალისებელი გათამაშებისა) ადგილებზე და გარე პერიმეტრზე ვიდეომეთვალყურეობის სისტემებისა და მათი დამონტაჟება ექსპლუატაციის წესის მიხედვით"

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2007 წლის 29 აგვისტოს N1143 ბრძანებით შესაბამისად. სკოლის გარე პერიმეტრზე დამონტაჟებულია 2 ვიდეოთვალი, რაც ვერ უზრუნველყოფს სკოლის გარე პერიმეტრის სრულ კონტროლს. ვიზიტის დროს სკოლამ გაითვალისწინა ექსპერტთა მიგნებები და უკანა ეზოს გასაკონტროლებლად **დამატებით შეიძინა 2 ვიდეოთვალი.** ამგვარად, სკოლის **გარე პერიმეტრს 4** ვიდესამეთვალყურეო კამერა აკონტროლებს. სკოლის შიდა პერიმეტრის დათვალიერებას უზრუნველყოფს შენობის დერეფნებში და კიბის უჯრედებში განთავსებული კამერები, თუმცა სპორტული დარბაზის დერეფანი არ კონტროლდებოდა, ვიზიტის დროს სკოლამ უზრუნველყო ვიდეოთვალის დაყენება აღნიშნულ სივრცეში. ამჟამად სკოლის **შიდა პერიმეტრის დათვალიერება ხდება 9** ვიდეოთვალით. სკოლაში მიმდინარე ვიდეომეთვალყურეობასთან დაკავშირებით სპეციალური გამაფრთხილებელი ნიშნები გამოკრულია შენობაში თვალსაჩინო ადგილზე. ვიდეოსათვალთვალო სისტემის ყოველდღიურ გამოყენებას და ადმინისტრირებას უზრუნველყოფს დირექტორის ბრძანებით განსაზღვრული პირი, სკოლის დირექტორის მოადგილე. სკოლის უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესი და პირობების 37-ე მუხლით განსაზღვრულია სკოლის ვიდეო თვალთვალის სისტემის ადმინისტრირების წესი.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• ვიზუალური დათვალიერება • შპს ,,ALL DIGITAL" ხელშეკრულება და მიღება-ჩაბარების აქტი 2 სათვალთვალო კამერის შეძენაზე. 08/07/2022 • ბრძანება №29-პ-ვიდეოთვალთვალის სისტემის ადმინისტრირებაზე უფლებამოსილი პირის დანიშვნა • უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესი და პირობები
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.7 სკოლას შემუშავებული აქვს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისი წესდება, შინაგანაწესი ან გადაწყვეტილებების მიღების, საქმიანობის დაგეგმვისა და წარმართვის პროცედურათა ამსახველი სხვა დოკუმენტები	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	დაწესებულებამ საავტორიზაციო განაცხადით წარმოადგინა სკოლის მარეგულირებელი დოკუმენტები: **წესდება-** რეგისტრირებულია ქ.წყალტუბოს სასამართლოში 25/09/2000 წელს (რეგისტრაციის №59/4-225). დოკუმენტით განსაზღვრულია ორგანიზაციის სახელი, იურიდიული სტატუსი, მისამართი, ქონება და საწესდებო კაპიტალი, პარტნიორთა ურთიერთობები და უფლება-მოვალეობები, საწარმოს სამეურნეო საქმიანობა და მართვა, საწარმოს ფინანსები, აღრიცხვა, კონტროლი და საწარმოს საქმიანობის შეწყვეტა. წესდების თანახმად, დამფუძნებელი ნიშნავს დირექტორის, რომელიც ახორციელებს ორგანიზაციის მართვას და წყვეტს ორგანიზაციის საქმიანობასთან დაკავშირებულ ყველა საკითხს. დამფუძნებელს შეუძლია დირექტორი გადასცეს თავისი უფლებების გარკვეული ნაწილი. წესდებით განსაზღვრულია რომ დირექტორი ამტკიცებს შინაგანაწესს და საქმიანობისთვის საჭირო ყველა ინსტრუქციას. **წყალტუბოს არასახელმწიფო, საერო, საშუალო სკოლა ,,ოცნების“ მუშაობის დებულება (რეგლამენტი)**--დამტკიცებულია სკოლის დამფუძნებლის მიერ 2011წლის 18 იანვარს, წარმოადგენს შიდა მარეგულირებელ დოკუმენტს და განსაზღვრავს სკოლის მისიას, მიზნებს, ამოცანებს, მართვის სტრუქტურას, აწესრიგებს სასწავლო პროცესის ორგანიზებას და სასწავლო პროცესში მონაწილეთა უფლება-მოვალეობებს, ადგენს მასწავლებელთა მიღების წესს. **სკოლის შინაგანაწესი**- განსაზღვრავს: სამუშაო დროს, სამსახურში გამოცხადების და სამუშაოდან წასვლის წესს, თანამშრომელთა სკოლაში მიღებისა და დათხოვნის წესებს, თანამშრომელთა და მოსწავლეთა უფლება-მოვალეობებს, დისციპლინალური გადაცდომებს და სახდელებს, სკოლის მართვის ორგანოებს, დამრიგებლის და მშობლების უფლება-მოვალეობებს, წახალისების ფორმებს, სასწავლო

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	პროცესის ორგანიზებას, შრომის ანაზღაურებას, განცხადებების და საჩივრების განხილვას, შრომის დაცვისა და ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების ღონისძიებებს, დისციპლინური კომიტეტის ფუნქციებს. წარმოდგენილი დოკუმენტების შესწავლამ აჩვენა, მარეგულირებელი დოკუმენტების გადახედვა და საკანონმდებლო ცვლილებების ასახვა არ განხორციელებულა დოკუმენტების შექმნის შემდეგ, თუმცა სკოლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა ითვალისწინებს მსგავს აქტივობას. სკოლამ ვიზიტის დროს განახორციელა შინაგანაწესის და სკოლის დებულების გადახედვა. წარმოადგინა შესაბამისი უფლებამოსილი ორგანოების მიერ დამტკიცებული განახლებული შინაგანაწესი და სკოლის დებულება. სკოლის დებულება- დამტკიცებული დამფუძნებლის მიერ 2022წლის 8 ივლისი (ბრ. №30). დებულებით განსაზღვრულია: სკოლის საქმიანობის ძირითადი მიზნები და ამოცანები, დაწესებულების სტრუქტურა და მართვა, განსაზღვრული სტრუქტურულ ერთეულებში დასაქმებული პირების ფუნქცია-მოვალეობები. სკოლის შინაგანაწესი- დამტკიცებულია სკოლის დირექტორის ბრძანებით (ბრ.№ 29, 2022 წლის 8 ივლისი), შინაგანაწესით რეგულირდება: შრომითი ურთიერთობის წარმოშობა; შრომის დისციპლინა; სასწავლო პროცესის მონიტორინგის ფორმები და ფარგლები; პედაგოგთა შერჩევისა და მიღების წესი; ხელშეკრულების შეწყვეტა; სკოლის წახალისების ფორმები და დისციპლინური პასუხისმგებლობა; დისციპლინური საქმის წარმოება; მოსწავლის დისციპლინური გადაცდომა/დისციპლინური სახდელი; მოსწავლის პირადი გასინჯვა; მოსწავლის სკოლაში ჩარიცხვის და სკოლიდან გადაყვანის პირობები; მოსწავლის ჩაცმულობის წესი და გარეგნული სახე-ფორმა; შრომის პირობების დაცვასთან დაკავშირებული ზოგადი ინსტრუქციები; პანდემიის პირობებში საგანგებო სიტუაციაში სამოქმედო გეგმა; ბავშვის ძალადობასთან დაკავშირებული შიდა წესი; უსაფრთხოების უზრუნველყოფისა და პირველადი დახმარების აღმოჩენის წესი; განცხადების/საჩივრის განხილვა; დასკვნითი დებულებანი. დასკვნითი დებულებაში გვხვდება ჩანაწერი- შინაგანაწესს სკოლის დირექტორის წარდგინებით ამტკიცებს

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	დამფუძნებელი ასევე, შინაგანაწესში შესატანი ცვლილებები განსახილველად და დასამტკიცებლად წარედგინება დამფუძნებელს. რაც ეწინააღმდეგება წესდებას და საჭიროებს ჩასწორებას. სკოლის წესდებით განსაზღვრულია, რომ შინაგანაწესს ამტკიცებს სკოლის დირექტორი, შესაბამისად ცვლილებების დამტკიცებაც დირექტორის უფლებაა.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• წესდება • სამუშაო დებულება (რეგლამენტი) • სკოლის დებულება • სკოლის შინაგანაწესი • დირექტორის ბრძანება.(№ 29, 2022 წლის 8 ივლისი), • ბრძანება № 30, 2022 წლის 8 ივლისი),
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.8 შემუშავებულია სკოლის განვითარების გრძელვადიანი (ექვსწლიანი) და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები, გამომდინარე დაწესებულების მისიიდან, რაც ასევე ითვალისწინებს მატერიალური რესურსების ეფექტურად გამოყენებისა და გაუმჯობესების მექანიზმებს	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლამ საავტორიზაციო განაცხადით წარმოადგინა სკოლის განვითარების ერთწლიანი 2021-2022 და ექვსწლიანი სტრატეგიული (2020-2026წწ) გეგმები. წარმოდგენილი სტრატეგიული გეგმა დამტკიცებულია პედსაბჭოს №1 ოქმით 2020 წლის სექტემბერში. თუმცა სკოლის დებულებით განსაზღვრულია, რომ სტრატეგიულ გეგმას ამტკიცებს სკოლის დირექტორი პედსაბჭოსთან შეთანხმებით. ვიზიტის დროს სკოლამ გაასწორა უზუსტობა. წარმოადგინა უფლებამოსილი ორგანოს მიერ დამტკიცებული 2021-2027 წწ სტრატეგიული გეგმა. სტრატეგიული განვითარების გეგმა მოიცავს: გრძელვადიან პრიორიტეტულ მიმართულებებს, პრიორიტეტის მისაღწევად დასახული ღონისძიებების შინაარსს, ღონისძიების შესრულების პერიოდს და შერულებაზე პასუხისმგებელ პირებს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	სკოლის ექვსწლიანი გეგმით განსაზღვრული პრიორიტეტული მიმართულებებია: 1. სწავლა-სწავლება 2. ადამიანური რესურსის პროფესიული განვითარება 3. მართვის პროცესი 4. მატერიალურ-ტექნიკური ბაზა 5. პარტნიორული ურთიერთობები 6. სკოლაში კეთილგანწყობილი, მოწესრიგებული და შემოქმედებითი გარემოს უზრუნველყოფა. პრიორიტეტული მიმართულება, მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, გულისხმობს სკოლის ინფრასტრუქტურის მუდმივ განვითარებაზე ზრუნვას. დასახული მიზნის შესასრულებლად სკოლას განსაზღვრული აქვს შემდეგი ამოცანები: ✓ სკოლის შენობის კეთილმოწყობა; ✓ სპორტული ინფრასტრუქტურის განვითარება; ✓ სასადილო დარბაზის ახალი ინვენტარით უზრუნველყოფა; ✓ სკოლის ბიბლიოთეკის სამკითხველო დარბაზის გაფართოება, წიგნებით მუდმივი გამდიდრება; ✓ სკოლის ეზოს სისუფთავესა და კეთილმოწყობაზე ზრუნვა ✓ კომპიუტერული ლაბორატორიის გამდიდრება; ✓ საბუნებისმეტყველო ლაბორატორიების შევსება-განახლება 2021-2022 სასწავლო წლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა ითვალისწინებს სტრატეგიული მიმართულებების მიხედვით ერთი წლის მანძილზე განსახორციელებელ კონკრეტულ აქტივობებს, ახდენს შესრულებაზე პასუხისმგებელი პირების იდენტიფიცირებას და განსაზღვრავს განხორციელების ვადებს. ერთწლიანი გეგმით განსაზღვრულია სკოლის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გასაუმჯობესებელი აქტივობები. გარკვეული ამოცანები სკოლამ შეასრულა, კერძოდ სკოლაში უსაფრთხოების სისტემები და სასადილო დარბაზის ინვენტარი განახლდა. თუმცა სკოლას შეუსრულებელი დარჩა სპორტული ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება, აღნიშნული საკითხი კვლავ აქტუალურია სკოლის მიერ წარმოდგენილ 2022-2023 სასწავლო წლის ერთწლიან განვითარების გეგმის პროექტში.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• 2021-2022 სასწავლო წლის სკოლის განვითარების გეგმა • 2022-2023 სასწავლო წლის სკოლის განვითარების გეგმის პროექტი • 2020-2026 წწ სტრატეგიული განვითარების გეგმა • 2021-2027 წლების სტრატეგიული გეგმა • ბრძანება №31 08/07/2022-სტრატეგიული გეგმის დამტკიცება • ვიზუალური დათვალიერება.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.9 დაწესებულებაში მიმდინარეობს გამოცემული აქტებისა და კორესპონდენციის აღრიცხვა	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლას შემუშავებული აქვს ,,საქმის წარმოების წესი", რომელიც განსაზღვრავს სკოლის საქმის წარმოების ორგანიზების სისტემას, ადგენს დოკუმენტებზე, განცხადებებზე, წერილებზე მუშაობის წესს. წარმოდგენილ საქმისწარმოების წესში გვხვდება ჩანაწერი- ,,კორესპონდენციის მოძრაობაზე და სათანადო დოკუმენტაციის წარმოებაზე პასუხისმგებელ პირს სკოლაში წარმოადგენს სკოლის დირექტორი". სკოლის დირექტორის განმარტებით, აღნიშნული ჩანაწერი ტექნიკური შეცდომაა და სკოლაში საქმისწარმოებაზე პასუხისმგებელია საქმეთა მწარმოებელი, რაც ასევე დასტურდება სკოლის საშტატო განრიგით და საქმეთა მწარმოებელთან გაფორმებული ხელშეკრულებით. აღნიშნული უზუსტობა გასწორდა ვიზიტის დროს, დირექტორის ბრძანებით (ბრ. № 21 08/07/2022). სკოლა, საქმისწარმოების წესის შესაბამისად ახორციელებს შემოსული და გასული დოკუმენტაციის რეგისტრაციას შესაბამის ჟურნალებში, ბრძანებების, განცხადებების და შრომითი ხელშეკრულებების აღრიცხვას. ბრძანებები და ოფიციალური წერილები ფორმდება სატიტულო ფურცელზე. საქმისწარმოების დროს სარეგისტრაციო ჟურნალებში ნუმერაციის ათვლა იწყება ყოველი კალენდარული წლის დასაწყისში და მთავრდება წლის ბოლის. საქმისწარმოების ჟურნალები აკინძულია,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	დანომრილია, ზონარგაყრილია და დამოწმებულია სკოლის ბეჭდით და დირექტორის ხელმოწერით.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• დირექტორის ბრძანებების რეგისტრაციის ჟურნალი • შემოსული დოკუმენტაციის რეგისტრაციის ჟურნალი • გასული დოკუმენტაციის რეგისტრაციის ჟურნალი • შრომითი ხელშეკრულებების რეგისტრაციის ჟურნალი • საქმისწარმოების წესი (ბრ.№ 111 21/11/2019) • დირექტორი ბრძანება № 21 08/07/2022
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

რეკომენდაციები:	
რჩევები:	
ხარვეზები:	
სტანდარტის შეფასება	☒ სტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ სტანდარტი დარღვეულია

3. ადამიანური რესურსი

3.1 სკოლას ჰყავს სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო პროცესის შესაბამისი ადამიანური რესურსი	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	დაწესებულებამ წარმოადგინა განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში დარეგისტირირებული სკოლის თანამშრომლების სია, რომლის მიხედვით სკოლაში დასაქმებულია: 21 მასწავლებელი, დამფუძნებელი, ბიბლიოთეკარი, ლაბორანტი, საქმისმწარმოებელი, დირექტორის მოადგილე, დირექტორი, სკოლის ექიმი, ბუღალტერი. სკოლაში ვიზიტის პერიოდში დოკუმენტების შესწავლისას დადგინდა,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	რომ სკოლის ექიმის კვალიფიკაცია არ შეესაბამებოდა კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს, რის გამოც დაწესებულებამ არსებულ პირთან შეწყვიტა შრომითი ხელშეკრულება და გამოაცხადა კონკურსი ექიმის ვაკანტურ პოზიციაზე, ასევე სკოლამ გაითვალისწინა რეკომენდაცია და უსაფრთხოების სპეციალისტისა და დარაჯის პოზიციებზეც გამოაცხადა შესაბამისი კონკურსი.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• დამტკიცებული საშტატო განრიგი; • მართვის საინფორმაციო სისტემის მონაცემებით. • თანამშრომელთა პირადი საქმეებით; • კონკურსის გამოცხადების მასალებით.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

ინფორმაცია მასწავლებელთა შესახებ	
პედაგოგთა საერთო რაოდენობა	21
მოწვეული/მაძიებელი	1
პრაქტიკოსი მასწავლებლი /უსტატუსო	5
უფროსი მასწავლებლი	14
წამყვანი მასწავლებლი	1
მენტორის სტატუსი	

3.2 სკოლის მასწავლებლები შერჩეულნი არიან ,,ზოგადი განათლების შესახებ" საქართველოს კანონისა და ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	დაწესებულების მიერ გადმოგზავნილი თვითშეფასების დოკუმენტაციის შესწავლით დადგინდა , რომ სკოლაში დასაქმებულია 5 (ხუთი) უსტატუსო მასწავლებელი, რომელთაც სრული დატვირთვა აქვთ, მათთან შრომითი ხელშეკრულება დაიდო 2021 წლის სექტემბერში, სკოლამ არ გაითვალისწინა არსებული რეგულაცია და მასწავლებლის პოზიციაზე დასაქმება მოხდა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტის #174/ნ ბრძანებით დადგნილი პიროებების გარეშე. ვიზიტის პერიოდში, ექსპერტების მიგნებების შედეგად, გამოაცხადა გარე კონკურსი,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	ხუთივე მასწავლებლის პოზიციაზე, აღნიშნული გადამოწმდა ექსპერტების მიერ. ***არგუმენტირებული პოზიციის წარმოდგენისას სკოლამ დაადასტურა, რომ ვიზიტის პერიოდშივე გამოცხადებული გარე კონკურსით დაასაქმა მასწავლებლები , რომელთაც ვალდებულება აქვთ 2023 წლის ბოლომდე ჩააბარონ შესაბამისი გამოცდები,აღნიშნულის გათვალისწინებით სტანდარტი დაკმაყოფილებულად შეიძლება ჩაითვალოს.***
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	მართვის საინფორმაციო სისტემის მონაცემების საფუძველზე; შრომითი ხელშეკრულებებით; ვაკანტურ პოზიციაზე მასწავლებელთა კონკურსის ჩატარების შესახებ ბრძანებებით; უსტატუსო მასწავლებლებთან შრომითი ურთიერთობების შეჩერების ბრძანებებით.
შეფასება:	☐ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☒ ქვესტანდარტი დარღვეულია

3.3 სკოლაში შემუშავებულია თანამშრომელთა შერჩევის, მიღებისა და გათავისუფლების წესები, ასევე წახალისებისა და სანქციების გამჭვირვალე სისტემა	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	დაწესებულებაში ვიზიტისას დოკუმენტების შესწავლისას სკოლა არ ხელმძღვანელობდა სკოლის მასწავლებელთა შერჩევისას საქართველოს განათლები,მეცნიერების, კულტურის და სპორტის მინისტრის 2019 წლის 20 აგვისტოს 174/ნ ბრძანებით დამტკიცებული „მასწავლებლის საქმიანობის დაწყებისა და შეწყვეტის წესით“. ექსპერტის რეკომენდაციის საფუძველზე სკოლამ ვიზიტის დროს შექმნა და წამოაყენა კონკურსის ჩატარების წესი (შიდა და გარე) , დაწესებულების შინაგანაწესით განსაზღვრულია თანამშრომელთა წახალისებისა და გადაცდომების გამჭვირვალე სისტემა, სკოლის დოკუმენტების (ბრძანებების) შესწავლისას,დადგინდა , რომ თანამშრომელთა წახალისების მიზნით გაცემულია ფულადი პრემიები.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• სკოლის შინაგანაწესი; • ხელშეკრულებებით; • კონკურსის ჩტარების წესით;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	• წახალისების შესახებ ბრძანებები.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

3.4 მასწავლებლებთან, ადმინისტრაციულ, ტექნიკურ პერსონალსა და სკოლის სხვა თანამშრომლებთან გაფორმებულია ხელშეკრულებები	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	დაწესებულებას სკოლის ყველა თანამშრომელთან გაფორმებული აქვს შრომითი ხელშეკრულებები ., მასწავლებლების ხელშეკრულებების გადამოწმებისას დადგინდა, რომ არ იყო გაფორმებული სტატუსის შესაბამისად. ასევე დასაზუსტებელი იყო ზეგანაკვეთური სამუშოს შესრულებისა და სხვა შრომითი ხელშეკრულების სავალდებულო პირობები, აღნიშნულზე დაწესებულებამ მოიწვია მასწავლებლები და მოხდა შრომითი ხელშკრულებების კანონმდებლობასთან შესაბამისობაში მოყვანა. შესაბამისად, ვიზიტის პერიოდშივე არსებული ხარვეზი სკოლამ გამოასწორა.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	თანამშრომელთა შრომითი ხელშეკრულებები.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

3.5 სკოლას შემუშავებული აქვს ადამიანური რესურსის პროფესიული განვითარების ხელშეწყობის მექანიზმები	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლას შემუშავებული აქვს მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ხელშეწყობის მექანიზმები. სკოლა პროფესიული განვითარების ხელშეწყობის მიზნით, მასწავლებლებს აწვდის ინფორმაციას დაგეგმილი ტრენინგებისა და აქტივობების თაობაზე, შექმნილია პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფიც. ხოლო რაც შეეხება სკოლის სხვა დანარჩენ თანამშრომლებს, მათი პროფესიული განვითარების რაიმე დამადასტურებელი დოკუმენტი სკოლაში ვერ მოიძებნა. სკოლის წარმომადგენლებთან და მასწავლებლებთან გასაუბრებისას გამოიკვეთა რომ მიმდინარეობს გაკვეთილებზე დასწრება და შედეგების გაანალიზება, უკუკავშირის საფუძველზე დგინდება საჭიროებები. მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ მათთვის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	ხელმისაწვდომი გახდა საგნობრივი ტრენინგები, რომელსაც ესწრებიან და მიღებულ ცოდნას დანერგავენ პრაქტიკაში.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის დებულება და ოქმები; • ინტერვიუს შედეგები. • პროფესიული განვითარების დამადასტურებელი სერტიფიკატებით. • დირექტორის მოადგილის ანგარიშით; • გაკვეთილზე დაკვირვების და უკუკავშირის დოკუმენტაციით.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

3.6 სკოლაში არის დაცულობის, კეთილგანწყობის, ურთიერთპატივისცემისა და თანამშრომლობის ატმოსფერო, რაც ხელს უწყობს სასკოლო საზოგადოების თითოეული წევრის შესაძლებლობათა მაქსიმუმის გამოვლენას, პასუხისმგებლობის გადანაწილებას	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	პედაგოგებთან, ადმინისტრაციასთან და მშობლებთან გასაუბრების და ავტორიზაციის ვიზიტისას მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით, დგინდება, რომ სკოლაში არის დაცულობის, კეთილგანწყობისა და თანამშრომლობის ატმოსფერო. მშობლები განსაკუთრებული კმაყოფილებით აღნიშნავდნენ, რომ სკოლა ზრუნავს სასკოლო საზოგადოების თითოეული წევრის დაცულობის, კეთილგანწყობის, ურთიერთპატივისცემისა და თანამშრომლობის ატმოსფეროს შესაქმნელად.მოსწავლეები ერთხმად აღნიშნავენ, რომ სკოლაში ოჯახური გარემოა, მასწავლებლებსა და მოსწავლეებს შორის თანამშრომლობითი პოზიტიური ურთიერთობებია.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• ინტერვიუს შედეგებით; • ვიზუალური დათვალიერებით.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

რეკომენდაციები:	

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

რჩევები:	სკოლამ ექიმის შერჩევისას იხელმძღვანელოს 2022 წლის 21 მარტის საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრისა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ერთობლივი ბრძანების №41/ნ/01-23/ნ შესაბამისად.
ხარვეზები:	3.2. სკოლის მასწავლებლების არ არიან შერჩეული კანონმდებლობის შესაბამისად, სკოლას დასაქმებული ყავდა 5 უსატატუსო მასწავლებელი.
სტანდარტის შეფასება	მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით: ☐ **სტანდარტი დაკმაყოფილებულია** ☒ **სტანდარტი დარღვეულია**

XI. თანდართული დოკუმენტაცია

ქ. თბილისი 01.08.2022

გვერდების რაოდენობა 47 (ორმოცდაშვიდი)

Eliso Lolashvili-merebashvili 01002006929
Digitally signed by Eliso Lolashvili-merebashvili
Date: 2022.07.31 22:01:29

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.